საბჭოთა კავშირის თასზე

განვლილ შაბათს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი კიევის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის. თამაში მოიგეს კიეველებმა.

საკავშირო თასის გათამაშებაში უმაღლესი ლიგის გუნდები ჩაებნენ მეთექვსმეტედფინალიდან. ამ ეტაპზე მათ თავიანთ მინდვრებზე მიიღეს წინა შეხვედრებში გამარჯვებული I და II ლიგების გუნდები.

საქართველოდან გათამაშებას ამჟამად ოთხი გუნდი შემორჩა: მეთექვსმეტედფინალის პირველ მატჩებში თბილისის დინამოელებმა შინ ანგარიშით 2:1 დაამარცხეს კიშინიოვის „ნისტრუ“.

ლელო 19.07.1988

სსრ კავშირის თასზე

3 და 4 ივნისს შედგა სსრ კავშირის 1988-89 წლების საფეხბურთო თასის პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩები.

მოსკოვის „დინამოსა“ და ნიკოპოლის „კოლოსის“ შეხვედრა მოსკოვში დამთავრდა ფრედ - 0:0. ვილნიუსის „ჟალგირისმა“ ანგარიშით 4:2 მოუგო თბილისის „შევარდენი“ - სპი“-ს (პირველი ტაიმი ფრედ დამთავრდა - 1:1).

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს კიშინიოვის „ნისტრუ“.

შეხვედრის მე-9 წუთზე მასპინძლებმა - ცვეიბა-ქეცბაიამ ოსტატურად გაითამაშეს ერთსვლიანი კომბინაცია და ანგარიშიც გაიხსნა. შესვენების შემდეგ კი იმავე ქეცბაიამ შორიდან მეტოქეთა მეკარის მოედანზე ჩაჰკიდა ბურთი და ამჯერად გურულმა დააწინაურა მასპინძლები. სტუმართა შუამარბმა ვასილევმა კი 59-ე წუთზე, შორიდან უძლიერესი დარტყმით გაქვითა ერთი გოლი. 2:1 გაიმარჯვა „დინამომ“, რომლის რიგებში იყვნენ: გაბელია, კეტაშვილი, თევზაძე, ტორბა, აფციაური, კორღალიძე (გუბაზი), სვანაძე, ცვეიბა (ფირცხალავა), ქეცბაია, გურული, მესხი (მ. ჯიშკარიანი).

ლელო 5.06.1988